ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 29
საქონლის სახელმწიფო შესყიდვა

ქ. ბათუმი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:
შემსყიდველი _ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის მეთაურის მ.შ პოლკოვნიკი **ზაზა მჟავანაძის** სახით.
მისამართი: 6000, ქ. ბათუმი, ადლიის ქ №76. ს.კ. 245808390, ტელ. **595007924**
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101222.
მიმწოდებელი – შპს ,,**გორგია**''

btrmarket@gorgia.ge

მისამართი: ქ. ბათუმი,შავშეთის 27: ტელ 591910995
საბანკო რეკვიზიტები: **ს/კ 245621288**, პროკრედიტ ბანკი, ბანკის კოდი: ;
ანგარიშის ნომერი: **GE62TB1007536020100008**;

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე

შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს მატერიალური ქონება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

2. საქონლის ღირებულება
2.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 1461,8 **(ათასოთხასსამოცდაერთი ლარი და 80 თეთრი)** ლარს. მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს.
2.2. საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება დანართი #1-ის მიხედვით.

3. ანგარიშსწორება
3.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.
3.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
3.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

4. საპატენტო უფლებები
4.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი: რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის შტაბის S-4-ის მომარაგების დაგეგმისა და კონტროლის უფროსი ოფიცერი კაპიტანი **შ.ჯინჯიხაძე,პ/ნ 41001003295.**

5.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

5.2.1. ხელშეკრულების და/ან შეკვეთის პირობებთან მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), აზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით;

5.2.2. საქონლის მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;

5.2.3. `სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ~ დებულების 26-ე მუხლით განსაზღვრული კონტროლისა და ინსპექტირების ნებისმიერი მეთოდით.

5.3. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

5.4. კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.

5.5. კონტროლისა და ინსპექტირებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს `სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ~ დებულების 26-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

6. შეფუთვა

6.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან შემსყიდველის მიერ მის მიღებამდე (მათ შორის, დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში).

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას დანართი #1-ით განსაზღვრულ ვადებში და ადგილზე.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის ან ყოველი პარტიის მიწოდებისას წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

8. ხარისხი

8.1. საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები განსაზღვრულია დანართი #1-ით და/ან წარმოდგენილი ნიმუშით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.2. საქონლის ან ყოველი მისი პარტიის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებს და/ან წარმოდგენილი ნიმუშის (ნიმუშის წარდგენის ვალდებულების შემთხვევაში) პარამეტრებს.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან **5.1.** პუნქტში მითითებული პირის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

9.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისთვის საქონლის ფაქტობრივად გადაცემის თარიღი.

9.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:

9.3.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და

9.3.2. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში); ან/და

9.3.3. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები; ან/და

9.3.4. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და

9.3.5. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და

9.3.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.4. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან, აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
9.5. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
9.6. მიმწოდებელი ვალდებულია, გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის) საქონელი.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლება-მოვალეობანი.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.5. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:
13.1.1.საქონლის მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:
13.2.1.ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

13.2.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 13.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად;

13.3. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 2 %-ისა.

13.4. თუ მომწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცილებისთვის დაკისრებული საურავის ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონელის რაოდენობის ღირებულების 2% -ს შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული და /ან დარჩენილი მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულება 10 % ის ოდენობით .

13.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

13.6. საქონლის მიუწოდებლობისათვის დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 10 სამუშაო დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 თუ მიმწოდებელი განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 10%

15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

15.2. `ფორს-მაჟორის~ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომლებიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომელთა თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

15.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

15.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.
15.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 1 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა
16.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.
16.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. შეტყობინება
17.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
17.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მომწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს

18. სხვა პირობები
18.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 20 აპრილის** ჩათვლით.
18.2. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
18.3. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
18.4. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
18.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის მეთაურის მ.შ	შ.პ.ს გორგია
პოლკოვნიკი **ზაზა მჟავანაძე**	დირექტორი **ხვიჩა პაპუნიძე**
---	_____

GORGIA Подписано цифровой подписью: GORGIA
Дата: 2023.02.21 13:54:56 +04'00'

ყურადღება!
მოცემული ანგარიშის გადახდა ნიშნავს საქონლის მიწოდების პირობებზე თანხმობას.გადახდის უწყება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გარანტირებული საქონლის არსებობა საწყობში. საქონელი გაიცემა მომწოდებლის საანგაარიშსწორებო ანგარიშზე ფულის შემოსვლის ფაქტით, თვითგამოძახებით, მინდობილობის და პასპორტის არსებობის შემთხვევაში.

ანგარიში გადახდისთვის № BM-14591 თარიღით 20.02.2023

მომწოდებელ: შპს გორგია, გსნ 245621288, საბანკო ანგარიში: GE62TB1007536020100008

მყიდველი: მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადა, გსნ 245808390, ბათუმი / ადლიის ქ. N76

#	შტრიხკოდი	საქონელი (სამუშაოები, მომსახურება)	რაოდენობა		ფასი	თანხა
1	20099469128	ჯაჭვური ხერხი ROYAL TURBO 5800 2,8 Kw	1	ცალი	280.00	280.00
2	20099986931	Li-Ion ელ. ხრახნდამჭერი 20V (CDLI20051)	1	ცალი	136.00	136.00
3	69335287431	სტეპლერის პისტოლეტი 4-14MM(5/32"-9/16") TOL132-43021	1	ცალი	28.70	28.70
4	78520014998	Lux Garden-სათლი უჟანგავი ფოლადის 10L	3	ცალი	22.30	66.90
5	86919137003	ტანსაცმლის საშრობი ფლაი (PERILLA) კუ-17106	1	ცალი	23.90	23.90
6	48690020057	SOC13-5743 დამაგრძელებელი Linus 3-ადგილიანი 5 მტრ კაბელით დამიწებით და ჩამრთველით	3	ცალი	26.70	80.10
7	48690050040	SOC36- 4033 დამაგრძელებელი Linus 5-ადგილიანი 5 მტრ კაბელით BLACK	2	ცალი	24.10	48.20
8	86811460134	ტუალეტის ქაღალდის საკიდი საფარის გარეშე ML 37009-K	28	ცალი	28.50	798.00

სულ:	1 461.80
მათ შორის დღგ (18%):	223.00
სულ დღგ-ით:	1 461.80

სულ დასახელება 8, თანხაზე 1 461.80 GEL
ერთი ათას ოთხას სამოცდაერთი ლარი და 80 თეთრი

ერთი მხრივ შპს გორგია (ს/კ 245621288), (შემდგომში „მიმწოდებელი"), და მეორე მხრივ ---------- (ს/ს) ---------- (შემდგომში „შემძენი") ვადგენთ წინამდებარე შეთანხმების აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელი უზრუნველყოფს შეკვეთილი ნივთების შენახვას მყიდველის მიერ თანხის გადახდის თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. თუ შემძენი აღნიშულ ვადაში არ უზრუნველყოფს შეძენილი ნივთების ნივთების მიმწოდებლის ტერიტორიიდან გატანას, ითვლება, რომ მან უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე და მიმწოდებელს უფლება აქვს შემძენისათვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე უარი განაცხადოს საქონლის მიწოდებაზე და ასევე მოიხსნას პასუხისმგებლობა ყოველგვარი შესაძლო ფასის ცვლილების შესახებ. შემძენი აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია და არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, რასაც ადასტურებს ხელმოწერით ----------

GORGIA №10

განვადებით შეძენის შემთხვევაში მოქმედებს 4%-იანი საკომისიო

ხელმძღვანელი	---------- ხელმოწერა	პაპუნიძე ხ. ---------- ხელმოწერის გაშიფრვა
ბუღალტერი	---------- ხელმოწერა	---------- ხელმოწერის გაშიფრვა
მენეჯერი	---------- ხელმოწერა	ზერიძე თ. ---------- ხელმოწერის გაშიფრვა

ლ. შაინ-ბ

2023 წლის N 29 ხელშეკრულება

ფასების ცხრილი

N	პროდუქციის დასახელება	CPV კოდი	პროდ. მახა	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	ჯაჭვური ხერხი ROYAL TURBO 5800 2,8 Kw	42675100		ცალი	1	280.00	280.00	ქ. ბათუმი,შავშეთის 27	2023 წლის 20 მარტის ჩათვლით
2	Li-lon ელ.ხრახნდამჭერი 20V (CDLI20051)	42652000		ცალი	1	136.00	136.00		
3	სტეპლერის პისტოლეტი 4-14MM(5/32-9/16)TOLI32-43021	30197320		ცალი	1	28.70	28.70		
4	Lux Garden-სათლი უჟანგავი ფოლადის 10L	39224330		ცალი	3	22.30	66.90		
5	ტანსაცმლის საშრობი ფლაი (PERILLA) კუ-17106	39290000		ცალი	1	23.90	23.90		
6	SOC13-5743 დამაგრძელებელი Linus 3-ადგილიანი 5 მტრ კაბელით დამიწებით და ჩამრთველით	31224810		ცალი	3	26.70	80.10		
7	SOC36-4033 დამაგრძელებელი Linus 5-ადგილიანი 5 მტრ კაბელით BLACK	31224810		ცალი	2	24.10	48.20		
8	ტუალეტის ქაღალდის საკიდი საფარის გარეშე ML 37009-K	44410000		ცალი	28	28.50	798.00		
	სულ:						1461.80		

შემსყიდველის მხრიდან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის

მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის მეთაურის მ.შ

პოლკოვნიკი ზაზა მჟავანაძე

_____

მიმწოდებლის მხრიდან

შ.პ.ს გორგია

დირექტორი (ხვიჩა პაპუნიძე

_____

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის მეთაურის მ.შ პოლკოვნიკი **ზაზა მჟავანაძე,** მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის S-4 ის მომარაგების დაგეგმვისა და კონტროლის უფროსი ოფიცერი კაპიტანი **შალვა ჯინჯიხაძე** ვადასტურებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადასა და შ.პ.ს ,,**გორგია**" (ს/კ: 245621288) შორის, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, 2023 წლის თებერვლის თვეში გაფორმებული ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" №29 ხელშეკრულების ფარგლებში, შესყიდვის განხორციელება/მონაწილეობის მიღება არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის მეთაურის მ.შ

პოლკოვნიკი **ზაზა მჟავანაძე**

მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის S-4 ის მომარაგების

დაგეგმვის და კონტროლის უფროსი ოფიცერი

კაპიტანი **შ. ჯინჯიხაძე**